

პოლიტიკა

ათი დღე

რა შედეგს გამოიღებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ათდღიანი ულტიმატუმი, რომელიც მან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს ასლან აბაშიძეს წაუყენა? რა იქნება ათი დღის შემდეგ? - "24 საათმა" ამ შეკითხვით მიმართა რამდენიმე რესპონდენტს. გთავაზობთ მათ კომენტარს.

A3

აქრონომია

აბაშიძის ბოლო ნაბიჯები - "ქვეყნის აქრონომიის განვითარებაში რადიკალი ბოიკოტი"

აბაშიძის მიერ ხიდების აფეთქება და ამით აჭარის თვითმმართველობის მოქცევა, რეგიონი და მთელი საქართველო სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა. "24 საათი" უკვე წერდა იმ ზარალზე, რომელიც ცენტრსა და აბაშიძეს შორის შექმნილმა დაძაბულობამ მიიყენა საქართველოს, თუმცა ბოლო კვირას განვითარებულმა მოვლენებმა ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა და საფრთხეც გაცილებით ხელშეახლება და მწვავე გახდა.

A4

უცხოეთი

პრემიერ-მინისტრი პარტიის მხარდაჭერის გარეშე

გუშინ ცნობილი გახდა ისრაელის მმართველ პარტია "ლიკუდის" წევრებს შორის ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები: 59,5 პროცენტი უარყოფითი პასუხი და მხოლოდ 39,7 პროცენტი - დადებითი. ამ ეტაპზე, შარონის მიერ ინიცირებული "დამორიგების გეგმა" ჩავარდა.

A5

საზოგადოება

ლიბორისტები საქართველოში შევიწროვებენ უპირობას

თბილისის საკრებულოს ბოლო სხდომაზე სოციალურ საკითხთა კომისიის მისამართით გამოთქმულმა საყვედურებმა "ლიბორისტები" ძალზედ შეაშფოთა. "ნაციონალმა" კოლეგებმა კომისიის "ლიბორისტ" თავმჯდომარეს საქმიანობა დაუწუეს.

A6

სამართალი

ბიორგი რამიშვილს ბრალს იარაღის უკანონოდ შენახვისთვის წაუყენებენ

კვირა საღამოს, თბილისის ცენტრში, მრგვალ ბაღთან, ქუთათელაძის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ გიორგი რამიშვილს ბრალს დღეს წაუყენებენ.

A7

ანიონი

თბილისი	17	☁
ქუთაისი	19	☁
ბათუმი	17	☁
სოხუმი	20	☁
ფოთი	19	☁
თელავი	14	☁
ზუგდიდი	20	☁
ბორჯომი	14	☁
ახმეტა	16	☁
ჭიათურა	15	☁
გაგრა	20	☁
სამტრედიანი	19	☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.9700
ევრო	2.3565
გიორჯიანა სტერლინგი	3.4964
რუბლი	0.0680

ნეტკაროვი - გამოცდილი პროვოკატორი

სოფო ბაქია

ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდების აფეთქების ოპერაციას, პირადად, რუსი გენერალ-ლეიტენანტი იური ნეტკაროვი ხელმძღვანელობდა, - ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ უშიშროების სამინისტრომ გაავრცელა. "24 საათის" ინფორმაციით, გუშინ აჭარას კიდევ ერთი გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის სასაზღვრო ჯარების ჩრდილო-კავკასიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უფროსი იური კომისაროვი ესტუმრა.

"თუ ხიდების აფეთქებაში ნეტკაროვის მონაწილეობა ფაქტობრივად დადასტურდა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყება," - აღნიშნა საგანგებოდ მონვეულ პრესკონფერენციაზე უშიშროების მინისტრის მო-

ბაზრძალა A3 ბავარძალი



აფეთქებული ჩოლოქის ხიდი დღეს.

ფოტო: შარვაშიძე, ფოტო

განაჩენი

აბაშიძემ საკუთარი ხელით გამოიწერა

მაია ჭალაბანიძე

ვისაც აჭარაში ხუმრობის თავი აქვს, შაყრობს - ახლა ყველამ საკუთარი ქუჩები უნდა ავაფეთქოთ, ოჯახებში რომ ვერავინ შემოაღწიოს... ენგურის ხიდისგან განსხვავებით, ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდები აღარ არსებობს. ახლა აბაშიძე 133 აფეთქებული და ორი აფეთქებული ხიდით იმსახურებს. 2 მაისის აფეთქებით აჭარაში წინააღმდეგობის ახალი ეტაპი იწყება. ამის უპირველესი სიმპტომი სტუდენტობის წინააღმდეგობის გააქტიურებაა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ შესაძლოა რეგიონის ხელისუფლებაში ძალების ხელახალი გადაჯგუფება მოხდეს და ამ კარად არა აბაშიძის სასარგებლოდ, ყოველი ამგვარი მოძრაობა აჭარის ხელისუფლებასა და ხალხს შორის დამაკავშირებელ ხიდებს "აფეთქებს". პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ამ თანამდებობის ვარსკვლავი ერთ-ერთი ინფორმირებული ადამიანი იყო საქართველოში. ქვეყანაში არსებული დაძაბულობის, კორუფციის, საუშიშროებისა და უშიშროების პულსზე მას ახლა ოფიციალურადაც უნდა ეჭიროს ხელი.

ბაზრძალა A3 ბავარძალი



გივი თარგამაძე

ფოტო: შარვაშიძე, ფოტო

შევიწროვებთ იარაღს დასრულებულია

აბაშიძე საქართველოს ტერიტორიაზე პატარა საფეოდალოს მართვას ვეღარ გააგრძელებს

რეზა ხახუაძე

"24 საათის" სტუმარია ანკარას თურქული პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის დირექტორი სუათ კინიკლიოღლუ.

- ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალ ხელისუფლებასა და ასლან აბაშიძეს შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. ამ ვითარებაში დიდი როლი ენიჭება საქართველოს მეზობლების პოლიტიკას. როგორი იქნება ანკარას დამოკიდებულება ვითარების კიდევ უფრო გამწვავების შემთხვევაში?

- საქართველოში ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ ცენტრალურ ხელისუფლებას თბილისში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თბილისი სრულად უნდა აკონტროლებდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, მათ შორის - აჭარას, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს თუ სამცხე-ჯავახეთს.

ბაზრძალა A5 ბავარძალი



სუათ კინიკლიოღლუ სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

ფოტო: შარვაშიძე, ფოტო

ხიდების აფეთქების ექვსი კარგადი

ბიორგი ასანიშვილი

აჭარაში ხიდების აფეთქებას და, საერთოდ, ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას მხოლოდ უარყოფითი პოლიტიკური დატვირთვა როდი გააჩნია. პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მყოფი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იმ ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებზეც საუბრობს, რომელსაც ქვეყანა ასლან აბაშიძის ავანტიურისტული პოლიტიკის გამო იქცა.

როდესაც ასლან აბაშიძის გამოწვევებზე საუბრობს, პრემიერ-მინისტრი იქვე ხაზს უსვამს, რომ "აჭარის თემაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა და ამ განცხადებას უცხოეთიდან კეთილგანწყობილი გამო-

ბაზრძალა A3 ბავარძალი

მთავრობა და ექსპერტები 2004 წლის ბიუჯეტის შესახებ

თამარ ხორბალაძე ეთარ მამულაშვილი

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში 2004 წლის ბიუჯეტი წარადგინა. სხდომაზე, სადაც ხაზგასმით ითქვა, რომ თუ აჭარაში დღეს შექმნილი სიტუაცია დროში გახანგრძლივდა, მაშინ ყველა არსებული პარამეტრი ქვეყანას, მის ხელისუფლებას და მის მოსახლეობას, შესაძლოა, "თავზე დაეშვას", აქცენტები მშვიდობის შენარჩუნებისა და აჭარის პრობლემის დროულად გადაწყვეტის გადასახედებიდან გაკეთდა.

შეხვედრაზე ყურადღება სამი ძირითადი მიმართულებით გამახვილდა: პირველი, ეს გახლდათ ძირითადი პარამეტრები, რომელთა თაობაზეც "24 საათი" უკვე საკმაოდ ვრცლად წერდა. მიუხედავად პარამეტრების ოპტიმიზაციისა, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა ბიუჯეტის პარამეტრების გადაჭარბებით შესრულებას ვერაუღებს, რომლის ხარჯზეც შეიქმნება სარეზერვო ფონდი. იგი სავადასახადო ლიბერალიზაციის პირობებში სოციალური ხარჯების "თანადაფინანსებისთვის"

ბაზრძალა A4 ბავარძალი

სუცოვერაციის ტყიბულში ქახილის ლიკვიდაციით დასრულდა

ბექა სისაური კათალიკი

იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველომ მორიგი სპეცოპერაცია ჩატარა და ტყიბულში კრიმინალის ლიკვიდაცია მოახდინა. პოლიციამ ამჯერად რუსთავის კოლონიდან გაქცეული ბესიკ სამადაშვილი ტყიბულში, მისი მეგობრის საცხოვრებელ სახლში ჩაიჭრა. სამართალდამცველების ინფორმაციით, სამადაშვილს რამდენჯერმე შეუთვალეს, დაეხმარებოდა, თუმცა იგი აღნიშნულ წინადადებაზე უარს აცხადებდა. ადგილზე მისულ პოლიციელებს კი ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. ბესიკ სამადაშვილი, გარდა კოლონიიდან გაქცევისა, ყაჩაღური თავდასხმებისთვისაც იძებნებოდა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ჩიკვაძის განმარტებით, ნელს სამადაშვილს ტყიბულსა და ქუთაისში 4 ყაჩაღური თავდასხმა ჰქონდა განხორციელებული.

ბაზრძალა A7 ბავარძალი

დროა - ფიქრობენ 66-ე სკოლის მერვეკლასელები

ენო მკვიდრიძე

ეკა მკვიდრიძე

პირველ რიგში მინდა შევეხო ქუჩის პრობლემას. სრულიად გაოგნებული ვარ ჩემი უბნის, ანუ ჩემი სკოლის (66-ე საშ. სკოლა) უბნის პრობლემებით. ამ უბანში სრულიად თავისუფლად მოძრაობენ და დაპარპაშებენ უბნის ბოროტმოქმედი პირები.

ბავშვს, რომელიც ჩვეულებრივ, სკოლიდან მოდის და თავის მეგობარს ესაუბრება. ან თუნდაც, მარტო, რომელიღაც კუთხიდან "გამოუხტება" ვიღაც და ან ტელეფონს ნაართმევს, ან კიდევ ფულს. ბოროტმოქმედმა ნაართვა და ამაზე პასუხსაც არ აგებს.

მოსაგვარებელია გზებიც. კლასს, რომელიც გადაწყვეტს, რომ გაზაფხულზე წავიდეს ექსკურსიაზე, ან კიდევ ბანაკში, არ აქვს იმის გარანტია, რომ იგი მშვიდობიანად იმგზავრებს, რადგან გზები დასახინჩრებულია.

სამარტო ტაქტი ძალზე ძვირი ღირს, ბევრს არ აქვს საშუალება, რომ იმგზავროს.

სოფო საფონოვა

ჩვენი 66-ე სკოლა საუკუნეზე მეტი ხნისა და თავისი სიღამაზით გამოირჩევა. მაგრამ შენობა ცუდ მდგომარეობაშია - უკვე რამდენიმე წელია მესამე სართულზე წყალი ჩამოდის და ამას ყურადღებას არავინ აქცევს. ვინც სკოლის უკანა მხარეს სწავლობს, საჭირო ოთახში მისასვლელად მთელი მეორე სართული უნდა გადაკვეთოს. სკოლის ცენტრალური ნაწილი და მესამე სართული მიწისძვრის შემდეგ გადაკეტილია. ცენტრალური ულამაზესი შესასვლელიც გადაკეტილია - დიდი სამშრომლობა, რომ ვინმეს აგური დაეცეს. ეზოში რამდენიმე ხეა მოსაჭრელი და ვერაფრით ვერ მოჭრეს. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება არა მარტო სკოლაში, არამედ მთელ ქვეყანაში. დიდხანია დროა!

საინიციატივო ჯგუფი "დროა!"

მე განსაკუთრებულ უბანში დავიბადე და ვიზრდები, სადაც ყოველ ქუჩას, შენობას, ქვასაც კი თავისი დატვირთვა და ისტორია აქვს, რითაც მთელი საქართველო ამყოფს. აქ არის ჩემი ორი ნათესაყუდელი - ჩემი სახლი და ჩემი სკოლა, მაგრამ ორივე დროისაგან ნიშანდამსული, მიწისძვრისგან დაზარალებული, დახეტიალი კედლებით, სახურავამდე ბუჩქნებში ჩასმული.

ბზარები კედლებზე, ჭერზე, სახლში, სკოლაში, მეზობლებთან, მეგობრებთან და სულშიც. რაც ჩვენ დავიბადეთ, მას შემდეგ სულ გაჭირვება, წგრევა. სხვანაირი ცხოვრება არ გვინახავს. დრო მიდის, ბავშვობა კი ერთხელ აქვს ადამიანს.

ხომ გვაქვს ბედნიერების უფლება?!

ამ ნიალიდან უნდა აღმოცენდეს ჩვენი მომავალი. ჩვენ ვიცით ჩვენი უფლებების შესახებ - გვაქვს ბედნიერი ბავშვობის უფლება და მოგმართავთ თქვენ, დაგვეხმარეთ ამ უფლების დაცვაში.

მინდა ვამაყობდე ჩემი ქალაქით, ჩვენი ქუჩით, ჩვენი სკოლით. ნუ წაგვართმევთ ამ უფლებას! გვინდა გავიგოთ, როგორია სიამაყის განცდა!

უღიმიამო ცხოვრებას ჩვენი მშობლები ჩვენი იმედით და ინერციით მივყვებიან. ჩვენ კი ახალმა მთავრობამ ახალი იმედი ჩავგვისახა. ის, რაც გულს გვიკლავდა გუშინ, დღეს პროტესტში გარდაიქმნა. ხვალ, ცხოვრების გზაზე ცრუ დაპირებები საგზალად არ გვეყოფა. გვინდა ჩვენი პოზიცია აქტიურად გამოვხატოთ.

ველარ ვიქნებით პასიური მაცხოვრებლების როლში. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენი გარემოს შექმნაზე, ამიტომ შევქმენით საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ხუთი ვართ. მიზნად დავისახეთ იმ პრობლემების მოგვარება, რაც სკოლას აწუხებს და თუ ხვალ თქვენს მისაღებად დავგინახავთ, არ გაგიკვირდეთ, მიგვიღეთ - ჩვენ თქვენგან გასაკეთებელის გაკეთებას მოვითხოვთ, სხვას არაფერს! ჩვენს ჯგუფს დავარქვით "დროა!"

ბატონო პრეზიდენტო!
 ბატონო მთავრობის წევრებო!
 ბატონო დეპუტატებო!
 გაზეთ "24 საათის" რედაქცია!
 მიგვიღეთ, მოგვისმინეთ და გაიზიარეთ ჩვენი გულისტკივილი.

რუსლან ბონადი

მე-4 კლასში ვიყავი, როცა ჩემი მშობლები უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წავიდნენ. იქიდან ფულს აგზავნიდნენ. მე მქონდა საჭმელი, სასმელი, მაგრამ არ მყავდა დედა და მამა.

ამ წერილით მინდა ვთხოვო პრეზიდენტს, რომ შექმნას საქართველოში ისეთი მდგომარეობა, ლუკმაპურისთვის ხალხს უცხოეთში წასვლა არ სჭირდებოდეს.

მეშინია მშობლებმა მეც არ წამიყვანონ უცხოეთში, მე ჩემს ქვეყანაში მივინდა.

კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს - მინდა სკოლის დამთავრებამდე მოვესწრო ჩემი სკოლის გაუბზარავ კედლებს და მთელ კარ-ფანჯარას.



ნათია კატაგვილი

ყველაზე დიდი, რაც ადამიანებს შორის არსებობს, ეს ურთიერთნდობაა. წინა მთავრობის დროს დაპირებები უხვად რიგდებოდა და დაპირებამდე რჩებოდა. ვუყურებდი მათ და დღე არ გავიდოდა, რომ პარლამენტში რომელიმე დეპუტატს მეორისთვის რაღაც გადაებრალებინა და პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ტელეპროგრამებს იყენებდნენ. ამის შემდეგ ვგრძნობდი და ვხვდებოდი, რომ ქართველების მთავარი პრობლემა ერთმანეთის უნდობლობა და გაუტანლობაა. ხალხში იმედის ნაპერწკალიც დაიფერფლა. ჩვენთვის ის გამოთქმა, რომ "იმედი ბოლოს კვდება" ტყუილი გამოდგა, იმიტომ, რომ იმედი უკვე მკვდარი იყო.

ჩვენი სკოლა ისეთ უბანშია, რომ მას ბევრი რამის მოყოლა შეუძლია. შენობა გარედან ისეთია, რომ სურათებსაც უღებენ, და ბევრს ეკლესიაც ჰგონია. ვინ იცის რამდენ დეპუტატს გაუვლია ჩვენს სკოლასთან, არავინ დაინტერესებულა რა შენობაა ასეთი ლამაზი და იქნებ, რა უჭირს - მათთვის მთავარი ის იყო, თუ სიტყვას ვის მოუგებდნენ, დებატებში ვინ გაიმარჯვებდა.

ჩემი სკოლა ჩემი ოჯახია, ჩვენი მასწავლებლები ჩვენი დედები არიან, მათ გვასწავლეს რას ნიშნავს, როცა სამშობლო გიყვარს და ეს სიტყვა "სიყვარული" ჩვენი მარტო ცნება არ არის, ეს სიტყვა გრძნობით მთავრდება.

სკოლა ყველაზე ელემენტარულსაც, ანუ ცარცსაც მისი სახსრებით ყიდულობს. თუ მთავრობას უნდა განათლებული თაობა, მან ამის პირობებიც უნდა შექმნას.

მე მაინც იმედით ვუყურებ მომავალ საქართველოს და ველოდები მთავრობის ქმედებებს.

წერილები მთავრობას

გიორგი მახათაძე

ქალაქის მერიას ვთხოვ, რომ ყურადღება მიაქციოს ჩვენს სკოლას. სახურავი შესაკეთებელია, მესამე სართული გაუქმებულია, შემოსასვლელიდან ვერ შემოვდივართ, სპორტული დარბაზი საშინელ მდგომარეობაშია, შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლისათვის საშიშიც. ბაღში შესვლა შეუძლებელია, არ იცი გამხმარი ხე როდის წამოიქცევა. ვის არ მიეგმართეთ, მაგრამ ამაოდ. სკოლის მოედანი გასაკეთებელია, არ არის ფარი, ფეხბურთის კარი, დასაჯდომი სკამი.

ბოტანიკური ბაღის მხრიდან ყრიან ნაგავს. არ არის გათბობის სისტემა. საჭირო ოთახები საშინელ მდგომარეობაშია.

სკოლის გარეთ უნდა გაკეთდეს შუქნიშანი და გადასასვლელი - ძალიან გვიჭირს ქუჩაზე გადასვლა.

სწავლის გადასახადიც დიდია. მე თვეში ათი ლარი, არ არის იოლი. მე მძაც მყავს და შეღავათი კი მშობლებს არა აქვთ. დაგვეხმარეთ და სწავლის გადასახადი შეგვიმცირეთ.

თუ თქვენ დაინებთ ამ ყველაფრის გაკეთებას, მთელი სკოლამოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები მოგემარებებიან. უარს ვიტყვით დასვენებაზე.

იმედი მაქვს, რომ ყურადღებას მოგვაქცევთ.



ენო ბარბანიძე

მე გული მტკივა ჩემი სკოლის გამო. ის მიწისძვრის დროს დაზიანდა. ფიზკულტურის დარბაზში ჭერიდან ქვიშა ცვივა. ზამთარში გათბობა არ არის და ყველას ძალიან გვცივა. ჩვენს ეზოში ბაღია, სადაც დიდი გამხმარი ხეა - ეზოში ვერ გავდივართ და ხეს კი არ ჭრიან, თუმცა სკოლამ განცხადება რამდენჯერ მიიტანა იმასთან, ვისაც ეს ევალება.

ფიქრობ, თქვენ მაინც დაგვეხმარებით. ჩვენ დასვენებაზე უარს ვიტყვით და მუშებს დავეხმარებით, ოღონდ ჩვენი სკოლა აღადგინონ.

ქრისტინა ხოტივრიძე

ბატონო პრეზიდენტო, სკოლა, რომელიც მე ვსწავლობ, "ჩემი ოჯახია". იგი შექმნა საჭიროებს. გაუქმებულია მისი ერთი ნაწილი, მათ შორის ულამაზესი დარბაზი და ვერანაირ ღონისძიებებს ვერ ვატარებთ. დამინახავს, ჩვენს სკოლასთან უამრავ უცხოელს გამოუვლია და სურათი გადაუღია, ზოგი კი პირჯვარსაც იწერს. აქ ბევრ თანამდებობის პირსაც არაერთხელ ჩამოუვლია, შეუხედავს და ერთხელაც არ დაინტერესებულა "ნეტავ რა მდგომარეობაშია ეს ლამაზი შენობა?"

ძველ უბანში შენობები ინგრევა და მე იმის გარანტია არ მაქვს, რომ გავივლი და თავში აგური არ დამეცემა. შენობებს, რომლებიც დანგრევის პირასაა, რესტავრაცია სჭირდებათ. მე მინდა, რომ გზები შეკეთდეს, დაბინძურებული მიწისქვეშა გადასასვლელები ისე მოწესრიგდეს, რომ სარგებლობა შეიძლებოდეს.



ბანარანი

აბაშიძემ საკუთარი ხელით გამოიწერა

AI ბაზრისთვის

- ხიდების განადგურების შემდეგ, რეგიონის ხელისუფლებაში როგორ შეიცვალა ასლან აბაშიძის პოზიციები?

- ვფიქრობ, რომ ეს პოზიციები ძალიან შეიცვალა და აბაშიძის ძალა მინიმუმამდე დასული. გუშინდელი ამბოხები ფაქტით მან, პრაქტიკულად, მთელ მოსახლეობას შეაფურთხა სახეში. სხვათა შორის, ხალხი ზუსტად ასე ამბობს. შუალედისას ჩოლოქთან მდებარე უახლოეს ტყეზე ვიყავი. იქ სამასამდე აღამიანი იყო შეგროვილი, რადგან იმ პერიოდისთვის მათ შემოვლთი გზითაც არ შეეძლოთ ავტონომიის ტერიტორიაზე გადასვლა. ამ ხალხის აღშფოთება უკიდურესია. თითოეული ეს აღამიანი მზად არის, სახალხო პროტესტის გზით აგებინოს პასუხი აბაშიძეს. ვფიქრობ, რომ იგივე სიტუაცია მთელი აჭარის მასშტაბითაც. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ხიდების აფეთქებით აბაშიძემ თავად გამოიწერა საკუთარი განაჩენი.

- დაიწყო ახალი ეტაპი მის ცხოვრებაში?

- აჭარაში საპროტესტო მოძრაობის საბოლოო ეტაპი დაიწყო, რაც ამ პრობლემას დაასრულებს.

- ცოტა ხნის წინ აჭარაში მოსახლეობის გაბედულებას შიში სჭარბობდა. გაუშინდელმა მოვლენებმა მათი განწყობა რადიკალურად შეცვალა?

- დიახ, რადიკალურად და ხალხის სასარგებლოდ. ხალხის გაღიზიანება უკვე ფარავს შიშის გრძნობას. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი რამდენიმე დღის წინ გამართული დემონსტრაცია იყო, როდესაც ხალხის მცირე რაოდენობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაუშკლავდა აბაშიძის შეიარაღებულ აღამიანებს. ვფიქრობ, ხალხს შეემატა რწმენა, რომ საკუთარი ხელითა და ხმით შეუძლიათ ამ პრობლემის გადაწყვეტა.

- საპროტესტო აქციებში სტუდენტებიც ჩაებნენ. იქნება ეს ახალი და მძლავრი ტალღა?

- საქართველოს უახლესი ისტორია ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ როდესაც საქმეში სტუდენტები ერევიან, ის საქმე სტუდენტების სასარგებლოდ დასასრულსკენ მიდის.

- ენგურის ხიდის აფეთქება ახვაზებსაც არ მოსვლით თავში, ის დღემდე დგას. რას ეყრდნობა ასლან აბაშიძე, როდესაც ამ ნაბიჯებს დგამს?

- სწორედ საკუთარ თავს ეყრდნობა. დიდი ხანია, ვამტკიცებ, რომ მის თავში სრული ქაოსია და რომ ეს აღამიანი გონებრივად ნორმალური არ არის. როგორც ყოფილმა ექიმმა (ომამდე მე ექიმი ვიყავი) შემძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მას აშკარად გამოკვეთილი პარანოიის ნიშნები აქვს, კლინიკა სახეზეა. ეს აქამდე ქრონიკული იყო და როგორც ჩანს, ახლა გამწვავების პერიოდი აქვს. ამას თავისი მიზეზები გააჩნია. ამ

იტომაც არის, რომ მისი გადაწყვეტილებები ვერასდროს ვერ ექვემდებარება ლოგიკას. აბაშიძე ინსტიტუტების დონეზე რეაგირებს. ამ შემთხვევაში, მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიტუტით გამოწვეული ქმედებით მას საკუთარი ხალხიც ეცლებოდა ხელიდან და გადაწყვეტა, რომ ასეთი ფორმით, ძალით შეენარჩუნებინა მომხრეები თავის გვერდით. ამ დღეებში გაირკვევა, რომ ეს შეუძლებელია - ძალით ხალხის გაჩერება ვერ მოხერხდება და ეს პროცესი გაგრძელდება.

- მიმდინარე მოვლენებში არ ჩანს ასლან აბაშიძის ვაჟი გიორგი. რა იცით მის შესახებ?

- რამდენადაც ვიცი, ამ პროცესთან დაკავშირებით გიორგი აბაშიძე საკმაოდ საღ პოზიციაზეა. მას თავად აქვს სურვილი, გადადგას ის ნაბიჯები, რომელსაც, სამწუხაროდ, არ დგამს მამამისი. სრულიად გასაგები და ბუნებრივია, რომ ის მამამისს ვერ დაუპირისპირდება. ბატონ ასლანს უურჩევდი, თავის ვაჟს მაინც დაუგდოს ყური. მის საუბრებში ის ნამდვილად დაინახავს რაციონალურ მარცვალს. გადაწყვეტილება რომ გიორგი აბაშიძის მიერ იყოს მისაღები, ის დიდი ხნის მიღებული იქნებოდა.

- გიორგის მამაზე არანაირი გავლენა არ აქვს?

- სამწუხაროდ, ასე ჩანს.

- რამდენად ახერხებს აჭარის ხელისუფლება იქ დარჩენილ შეიარაღებულ ფორმირებებში საქართველოს ხელისუფლების მიმართ აგრესიული განწყობის შენარჩუნებას?

- ჩემი აზრით, ის საკუთარი თავის მიმართ აგრესიული განწყობის შენარჩუნებას ახერხებს. როდესაც შენს საკუთარ შეიარაღებულ ფორმირებას სადარჯლო სწავლებებს მიუჩენ და სროლის ბრძანებას აძლევ, შეუძლებელია, ამან აგრესია არ გამოიწვიოს შენ მიმართ და ახლა სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს.

- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შუახვევის გამგებელი გოგითიქ სასაზღვრო საფუძვლებზე დადის და მესაზღვრეთა გადაბრუნებას ცდილობს. მესაზღვრეების ინფორმაციით, ისინი ბოლომდე დაემორჩილებიან საქართველოს პრეზიდენტს - მთავარსარდალს და რაც უნდა მოხდეს, საქართველოს საზღვრებს არ დატოვებენ. აჭარაში არის რესურსი, რომ მომავალ 10 დღეს სანიმალდმდეგოდ განწყობის სამხედროების ან უზრალო მოსახლეობის სიცოცხლესა და თავისუფლებას არაფერი დაემუქრება?

- ეს რესურსი სახელმწიფოს ხელშია. ასლან აბაშიძე არავითხელ და ძალზე კატეგორიულად ვაგვიფრთხილებია, რომ თუ საფრთხე იმ აღამიანების სიცოცხლეს დაემუქრება, ვინც საკუთარ აზრს გამოხატავს, მამინ ხელისუფლება ვალდებულია ჩართოს ყველა ის მექანიზმი, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეთა დასაცავად არსებობს. ამ მექანიზმში, რა თქმა უნდა, შედის იმ



გიორგი თარგამაძე

ხელისუფლების მხრიდან კეთილი ნების კიდევ ერთი ყესტია ის, რომ გონივრული გადაწყვეტილების მიღებისთვის აბაშიძეს გარკვეული პერიოდი მიეცა.

საქართველოს უახლესი ისტორია ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ როდესაც საქმეში სტუდენტები ერევიან, ის საქმე დასასრულსკენ მიდის.

მას თავად აქვს სურვილი, გადადგას ის ნაბიჯები, რომელსაც, სამწუხაროდ, არ დგამს მამამისი. გადაწყვეტილება რომ გიორგი აბაშიძის მიერ იყოს მისაღები, ის დიდი ხნის მიღებული იქნებოდა.

საზოგადოებაში სხვა მენტალიტეტი და სხვა ტიპის განწყობაა. ვფიქრობ, რომ აბაშიძეს ხელისუფლებამ საქართველოში დარჩენის საშუალება რომც მისცეს, ამას თავად აჭარის მოსახლეობა არ დაუშვებს.

შეიარაღებული ხალხის ამოქმედება, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე და რომელიც უმალდესი მთავარსარდალსა და ხელისუფლების ბრძანებებს ემორჩილება.

- აჭარაში საქართველოს ხელისუფლების დასწრება მინიმუმამდეა დაყვანილი. რეალურად როგორ მოხერხდება ჩოლოქს გამომდინარე ხალხის დაცვა?

- სისხლის სამართლის საქმე ასლან აბაშიძის უახლოესი წრის უმეტეს ფიგურაზეა აღძრული. მათ შორის, დავით ბაკურიძეზე, სოსო გოგიტიძეზე, სერგო გოგიტიძეზე და ჯემალ გოგიტიძეზე. ერთადერთი ბარიერი ამ უკანასკნელის სადეპუტატო იმუნიტეტი იყო. ეს აღარ არ

სებობს და ყველაფერი გაირკვევა. დარჩენილია მხოლოდ და მხოლოდ ასლან აბაშიძე. სამწუხაროდ, ის ამ ვერ ხედავს, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან კეთილი ნების კიდევ ერთი ყესტია ის, რომ გონივრული გადაწყვეტილების მიღებისთვის გარკვეული პერიოდი მიეცა. რა თქმა უნდა, ეს პერიოდი უსასრულოდ არ გაგრძელდება, ის დროში საკმაოდ შეზღუდულია და ამ დროის ამონურვის შემდეგ არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმე იქნება აღძრული, არამედ კონკრეტული ღონისძიებებიც გატარდება.

- როდემდე იმუშავებს დრო ხელისუფლების სასარგებლოდ?

- უკვე აღარ არის საუბარი იმა-

ზე, თუ ვის სასარგებლოდ იმუშავებს დრო. - დრო ყველა შემთხვევაში აჭარის საზოგადოების სასარგებლოდ იმუშავებს. ეს გაიჭიმება მხოლოდ იქამდე, სანამ აჭარის საზოგადოება ამ პრობლემის მოგვარებას ერთიანად არ გადაწყვეტს. ვფიქრობ, რომ ეს ძალზე მოკლე დროში მოხდება.

- პრეზიდენტმა აჭარაში ერთ-ერთი შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელს, დავითაქეს მოუწყო მიღება. მას საეჭვო კრიმინალური წარსული და, სხვათა შორის, პაბიტუსიც აქვს. რამდენად დადებითად მოქმედებს ეს ხელისუფლების იმიჯზე და რას ემსახურებოდა გამართული პრეზენტაცია?

- ამ ნიშნების განმავლობაში აჭარაში არსებულმა კრიმინალურმა რეჟიმმა ძალზე ბევრი ხალხი ჩართია. საქართველოს ინტერესებიდან გამოდინარე, შეიძლება ამ ხალხს მიეცეს შანსი, რომ უამრავი უარყოფითი ნაბიჯების შემდეგ ერთი, მაგრამ ძალზე ძვირადღირებული დადებითი ნაბიჯიც გადადგას.

პასუხისმგებლობის მოხსნა-არმოხსნის საკითხი დღეს გადასაწყვეტი არ არის. ამ ყველაფრის ანონ-დანონვა და შეფასება წყნარ გარემოშიც შეიძლება. დღეს აჭარაში ერთი აღამიანის პრობლემაა, ეს არის ასლან აბაშიძე. ამ ერთი აღამიანის საკითხის გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, ყველა ნაბიჯი გამართლებული არ არის, მაგრამ გარკვეული ღვაწილება და იმ დრომდე მოთმენა შესაძლებელი, ვიდრე აჭარაში რეალური სამართალი განხორციელდება.

- რა დარჩენია თავად ასლან აბაშიძეს პრეზიდენტის მიერ მიცემულ პერიოდში?

- მას ერთადერთი შანსი აქვს - დატოვოს დაკავებული თანამდებობა და...

- და საქართველოც?

- ვფიქრობ, რომ საქართველოც შევარდნაძისგან განსხვავებით მას უფრო მეტი სისხლიანი დანაშაულები აქვს ჩადენილი. იმდენად გამწვავებული ჰყავს ხალხი, რომ არა მგონია, რეგიონის მოსახლეობამ აჭარაში უზრუნველი ცხოვრების საშუალება მისცეს. იქ, საზოგადოებაში სხვა მენტალიტეტი და სხვა ტიპის განწყობაა. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ საქართველოში დარჩენის საშუალება რომც მისცეს, ამას თავად აჭარის მოსახლეობა არ დაუშვებს.

- რეალურად რას ელის ხელი-სუფლება 12 მაისისთვის, ანუ აჭარის ხელისუფლებისთვის მიცემული 10 დღის შემდეგ?

- ჩვენ ველოთ, რომ ამ ვადის ამონურვის შემდეგ დადგება დრო, როდესაც მოსახლეობას, რომელიც საკუთარ ნებას გამოხატავს, ფიზიკურად ვეღარავინ შეეხება და თუ შეეხება, ხელისუფლება მოსახლეობას ყველა კანონიერი მეთოდით დაიცავს.

თავბარკვლიდან "24 საათი" იხილით... English newspaper 24 Hours, coming out from February გამოცემით. on subscription basis e-mail: public@24hours.ge Tel: 20 24 24 Fax: 20 24 25


ელოდით ბიორკისგან



ბიორკი მორიგ ალბომზე მუშაობას დოკაკასთან ერთად აგრძელებს. დოკაკა – იაპონელი მომღერალია, რომელმაც "ნირვანას", "კინგ კრიმსონისა" და "ოლმან ბრაზერსის" სიმღერების ორიგინალური ვერსიებით გაითქვა სახელი. აი, ასეთი ორი სასწაული ქალბატონი ჩაიკეტა ნიუ იორკის ერთ-ერთ სტუდიოში, სადაც ცნობილი ისლანდი-

ელი მუსიკოსის მორიგი ჩანაწერი იქმნება. ალბომის გამოსვლა წლის ბოლოსთვისაა ნაგარაუდები. მანამდე კი, ივნისში დღის სინათლეს იხილავს ბიორკის ოთხი საკონცერტო დისკო, რომლებშიც სხვადასხვა დროს გამართული კონცერტებია ჩანაწერი.

ბრუბეკის აღნიშვნას



6 ივნისს ამერიკელები და ევროპელები ერთად აღნიშნავენ მოკავშირეთა ჯარების ნორმანდიაში შესვლას – ნაცისტებისგან ევროპის გათავისუფლების დასაწყისს. საგანგებოდ ამ დღისთვის გამოდის დივე ბრუბეკის ალბომი Private Brubeck Remembers.

ალბომში ბრუბეკი ასრულებს მეორე მსოფლიო ომის დროინდელ სოლო პარტიებს, რომელთა სახელწოდებებიც, ბრუბეკს ბევრ რამეს აგონებს საკუთარი ბიოგრაფიდან. ალბომის ბუკლეტს დართული ექნება ბრუბეკის იმავე პერიოდის ფოტო.

-ის პროგრამა

4 მაისი
07.00, 09.00, 11.00(კანადა), **13.00, 16.00**(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00, 03.10**(შვეიცარია), **03.40**(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00**, საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები ზევიდან. **მითის ტბები**. (ალპები) **15.40** ავტომობილები. ახლი ტექნოლოგიები. **17.30** აქტუალური თემა: ევრო კავშირის გაფართოების საკითხი. **04.00** დიდი მდინარეები. ნიგერია. დოკ. ფილმი.

5 მაისი
07.00, 09.00, 11.00(კანადა), **13.00, 16.00**(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00, 03.10**(შვეიცარია), **03.40**(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00**, საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **01.25** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. აზარტულ თამაშებში მოგებულ ფულს მოაქვს ბენდინერება?

6 მაისი
07.00, 09.00, 11.00(კანადა), **13.00, 16.00**(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00, 03.10**(შვეიცარია), **03.40**(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00**, საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **23.05** დ დიხანი.

7 მაისი
07.00, 09.00, 11.00(კანადა), **13.00, 16.00**(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00, 03.10**(შვეიცარია), **03.40**(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00**, საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **23.05** დ დიხანი.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00**, საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **21.25** ლიტერატურული სიახლეები, დებატები, კრიტიკა. **23.05** აკუსტიკა. TV-ის სტუმარი დანიელ დარკი თავისი ალბომით „Crève coeur“-ი. **24.00** ბელგია ბერლინის კედლის დაგრევის შემდეგ.

8 მაისი
09.25 საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. „ბიდუმ ბიდუმ“ 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს ბავშვებს 10 წლის ზევით. **12.05** თვეში ერთხელ. საინფორმაციო გამოშვება. ანალიზი, დებატები. **16.30** კარგი გამონუსთვის. როგორ დავგვრდეთ ჯანმრთელები. იზაბელ მონკადასთან ერთად. **03.55** შეიცარების ინვალიდთა დახმარების ფონდი ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ფრანკს კარგავს.

9 მაისი
09.25 საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. „ბიდუმ ბიდუმ“ 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს ბავშვებს 10 წლის ზევით. **12.05** ბურლინგერის დღიურები. **24.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველი ლიგა. **01.30** სიმღერა N1. მიშელ სარდუ და მისი ახალი ალბომი. „ Du plaisir “.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო „ი.ელ.ელი“ (ELL Ltd) გათვალისწინებულა დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მისამართებზე პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ბიუს ნაწილობრივ სერტიფიკატი:

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFL, FCE, CAE) 2-4 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მანერული 2-4 კვირიანი სპეციალიზირებული კურსები.
- სამხატვრო სკოლა ინტენსიური ან უფრო ნაკლები და დასვენება მისამართების და მოზრდილობის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერტიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საინფორმაციო მომსახურების პროგრამები:

- A-Level 10-11 კლასისთვის და სკოლადაამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადაამთავრებულთათვის 1 წლით. MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 599 50 40 12
 ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

გუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF) კომუნიკაციის ოფისი

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერის (კომუნიკაციის ოფიცერის)** ადგილის დასაკავებლად.

სამუშაოს, მოვალეობების, პასუხისმგებლობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დანერგვითი აღწერა და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიკითხოთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე: **ktoldava@wwfcaucasus.ge ან office@wwfcaucasus.ge** განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 18 მაისი

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „შეიქი“

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისების მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრესი, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
- რეკონსტრუქციის სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: **დ.უხანაძის N70** კვლ-29-48-61

საქართველო

შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთაველი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიხსნება ტელელოტოშო „საქართველო ტოტოს“ გათამაშება.

ფორმა "ფენქი" ვისურველი წარმომადგენელი.

საბავშვო გაზეთი 12-მა

მეცხრამეტი, მეოცე და ოცდამეერთე ტირაჟის გამარჯვებული ნომრები:

19005578
19006891
19009333
19002816
19010764
19010220
19004456
19008577
19000404
19001762

20000884
20006176
20005316
20006234
20005228
20010910
20010731
20002861
20007630
20005132

21000915
21004352
21002226
21002968
21006887
21009971
21004633
21004568
21002650
21007246

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის სამოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტაიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ხვედის ბავთა მინეზება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ცვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგვსხნება.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლესისტიტი), პეპტიკის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გათუჯობებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობრებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.